

**2017 წელს მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში ქართველი ხელოვნების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტები:**

- 1) სსიპ-ის საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი-ხელოვნების სასახლე პროექტი „**What is Europe**“

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის 15 ივნისს, დანიის ქ. არჰუსში, დანიის პოსტერების მუზეუმის ორგანიზებით იხსნება გამოფენა სახელწოდებით „What is Europe“. გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება აფიშები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უმსხვილესი მუზეუმების კოლექციებიდან. დანიის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა თუ ევროპის სხვა ქვეყნების გვერდით ექსპოზიციაზე გამოიფინება ხელოვნების სასახლეში დაცული ქართული აფიშებიც.

- 2) ფიზიკური პირის თურგაი ველი-ზადე-ს პროექტი „**თავისუფლების ხიდები**“

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის ივნისში ლიტვაში, ქ. როკიშკისში საქართველოდან მიწვეული რეჟისორი თურგაი ველი-ზადე ნ.დუმბაძის ნაწარმოების „დიდრო“-ს მოტივებზე დადგამს სპექტაკლს. სპექტაკლის მთავარი თემაა ომის შედეგად დაზარალებული ადამიანების ბედი, ადამიანების უფლება იყვნენ თავისუფალნი. საზოგადოებასთან და მოსწავლეებთან შეხვედრისას რეჟისორი ისაუბრებს ქართულ კულტურასა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას სამი ქვეყნის რეჟისორი (ლიტვა, საქართველო და უკრაინა) იღებს. 22 ივნისს (დღე როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო ლიტვაში) ქ. როკიშკისში წარმოდგენილი იქნება სამივე ქვეყნის რეჟისორის სპექტაკლის ჩვენება.

- 3) ფიზიკური პირის თეონა ჯაფარიძის პროექტი „**ვიდეო არტის სემინარი**“

**პროექტის მოკლე აღწერა:** ვენის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტში 29.05.2017-2.06.2017 განმავლობაში ვიდეო-არტის სემინარის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება თეონა ჯაფარიძის დოკუმენტური ფილმი „90-იანი წლების არტ-ქრონიკა“, ასევე გაიმართება ლექცია-დისკუსია პოსტ-საბჭოთა ქართულ ხელოვნებაზე და მის ინტეგრაციაზე ევროპასთან.

- 4) ფიზიკური პირის მარიამ ღვინიაშვილის პროექტი „**ნიუ-იორკის ელექტრო-აკუსტიკური მუსიკის ფესტივალი**“

**პროექტის მოკლე აღწერა:** „ნიუ-იორკის ელექტრო-აკუსტიკური მუსიკის ფესტივალი“ ყოველწლიური, რამდენიმე დღიანი ფესტივალია, რომელზეც წარმოდგენილია, როგორც შემოქმედებითი განვითარების ეტაპზე მყოფი, ასევე, უკვე შემდგარი/ცნობილი კომპოზიტორებისა და საუნდ არტისტების ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. 2017 წლის 15 ივლისს, Peace Concert-ის ფარგლებში შედგება მარიამ ღვინიაშვილის ნაწარმოების

„Hurria for 8-channel live electronics პრემიერა, რომელიც შერჩეული იქნა კონკურსის გზით. კონცერტი გაიმართება „National Sawdust Art Center“-ში.

- 5) ფიზიკური პირის ნინო ნანეიშვილის პროექტი „ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები დიდ ბრიტანეთში“

**პროექტის მოკლე აღწერა:** ეთნომუსიკოლოგი ნინო ნანეიშვილი ლონდონის გუნდის „მასპინძელი“-ს და კემბრიჯის გუნდის „ჩელა“-ს მიწვევით ქართული ხალხური სიმღერა-გალობის მასტერკლასებს ჩაატარებს ლონდონში, ედინბურგში და კემბრიჯში.

- 6) ფიზიკური პირის ანა ალადაშვილის პროექტი “ ედინბურგის ფესტივალი“

**პროექტის მოკლე აღწერა:** ედინბურგის ფესტივალი მსოფლიოში მასშტაბური, კულტურული მოვლენაა, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნიებიდან ჩამოსული თეატრალურ სფეროში მოღვაწე ხელოვანები. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი “ I am faransis W”, რომელშიც ერთერთ მთავარ როლს მსახიობი ანა ალადაშვილი ასრულებს.

- 7) ააიპ „ქართული ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების კავშირი „კოლხიდა“ – „კავკასიური გაზაფხული“

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის მაისში აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში ფესტივალში „კავკასიური გაზაფხული“ მონაწილეობას მიიღებს ქართული საბავშვო ანსამბლი „სიონი“. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ფოლკლორული პროფესიონალი და თვითშემოქმედებითი კოლექტივები სხვადასხვა ქვეყნიდან. ფესტივალის მიზანია ფოლკლორის პოპულარიზაცია და კავკასიური ცეკვების უკეთ შესწავლა. ფესტივალის ფარგლებში იმართება მასტერკლასები. ააიპ „ქართული ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების კავშირი „კოლხიდა“ წარმოადგენს ფესტივალის პარტნიორ ორგანიზაციას, რომლის მიზანი არის ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია.

- 8) ააიპ „ქართული ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების კავშირი „კოლხიდა“ - „კავკასიური გაზაფხული“

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის მაისში აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში ფესტივალში „კავკასიური გაზაფხული“ მონაწილეობას მიიღებს წეროვნის ლტოლვილ ბავშვთა ანსამბლის „ქორული“. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ფოლკლორული პროფესიონალი და თვითშემოქმედებითი კოლექტივები სხვადასხვა ქვეყნიდან. ფესტივალის მიზანია ფოლკლორის პოპულარიზაცია და კავკასიური ცეკვების უკეთ შესწავლა. ფესტივალის ფარგლებში იმართება მასტერკლასები. ააიპ „ქართული ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების კავშირი „კოლხიდა“ წარმოადგენს ფესტივალის პარტნიორ ორგანიზაციას, რომლის მიზანი არის ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია.

- 9) შპს „Container“ - გალერეა „კონტეინერის მონაწილეობა „ViennaPhotoBookFestival“-ზე

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის ივნისში „ViennaPhotoBookFestival“-ზე მონაწილეობას მიიღებს თინათინ კილურაძე. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ქართველი ფოტოგრაფების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ფოტო წიგნები. ასევე, Austrian Association for Middle East Hammer-Purgstall-ში გაიმართება ლექცია ქართული ფოტოგრაფიის ბოლო წლების აქტივობებზე.

**10) შპს „Container“ - გალერეა „კონტეინერის მონაწილეობა „ViennaPhotoBookFestival“-ზე**

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის ივნისში „ViennaPhotoBookFestival“-ზე მონაწილეობას მიიღებს გურამ წიბახაშვილი. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ქართველი ფოტოგრაფების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ფოტო წიგნები. ასევე, Austrian Association for Middle East Hammer-Purgstall-ში გაიმართება ლექცია ქართული ფოტოგრაფიის ბოლო წლების აქტივობებზე.

**11) შპს „The Quintessence“ – Harmony Sweepstakes A Cappella Festival**

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის მარტში ჯგუფმა The Quintessence მონაწილეობა მიიღო Harmony Sweepstakes A Cappella Festival-ში და მეორე ადგილის მფლობელი გახდა. აღნიშნული ფესტივალის წესების თანახმად ამერიკის 8 შტატში გამარჯვებული (პირველ ადგილზე გასული) ფილანისტები National Final-ზე 2017 წლის მაისში სან-ფრანცისკოში ხვდებიან ერთმანეთს. 2017 წელს ფესტივალის მთავარმა ორგანიზატორმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და The Quintessence გადაიყვანა ფინალში, სადაც შესაბამისდ 8 ჯგუფის ნაცვლად 9 ჯგუფი იასპარეზებს. ფესტივალში მონაწილეობის გარდა დაგეგმილია ჯგუფის სოლო კონცერტისა და 10 წუთიანი პერფორმანსების გამართვა სხვადასხვა ცნობილ ჯაზკლუბებში.

**12) შპს „The Quintessence“ – Starsvoices International Song Contest**

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის ოქტომბერში შვეიცარიაში, ქ. ლოკარნოში „Starsvoices International Song Contest“-ში მონაწილეობას მიიღებს გრიგოლ ყოფშიძე. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს საერთაშორისო კონკურსს 18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომელიც 2012 წლიდან იმართება ყოველწლიურად.

**13) ააიპ „კულტურის და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი - „პერსონალური სტრუქტურები“, ვენეციის 57-ე ბიენალე. საერთაშორისო ვორკშოფი და კოფერენცია „ჩაის გემო“ სტამბოლი**

**პროექტის მოკლე აღწერა:** 2017 წლის მაისში, იტალიის რესპუბლიკაში, ქ. ვენეციაში „ვენეციის 57-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენის“ ფარგლებში GAA Foundation-ის გამოფენაში „პერსონალური სტრუქტურები“ მონაწილეობას იღებს თბილისის სახელმწიფო აკადემიის

სახვითი ხელოვნების მაგისტრანტთა ჯგუფი გამოფენით „გადაიაზრე მომავალი“. აღნიშნული პროექტი მოიცავს გამოფენის კურატორის ილია ზაუტაშვილის დასწრებას აღნიშნულ ღონისძიებაზე, გამოფენის გახსნასა და პრეს-კონფერენციაზე. ასევე, ამავე წლის მაისში თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბოლში იმართება ღონისძიება საერთაშორისო ვორკშოპი და კონფერენცია “ჩაის გემო“, რომელშიც ილია ზაუტაშვილი წარადგენს თავის შემოქმედებით პორტფოლიოს და მონაწილეობის შედეგად შექმნის დასკვნით გამოფენაზე წარსადგენ ნამუშევარს, რომელიც წარმოდგენილი იქნება სტამბოლის თანამედროვე ხელოვნების მე-15 ბიენალეს პარალელურ პროგრამაში 2017 წლის შემოდგომაზე.

14) ფიზიკური პირის დავით ალექსიდის პროექტი - “მეზობლობა” HDI – Hotel De Inmigrants

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

მე-7 HDI პროექტი გულისხმობს შემოქმედებითი სივრცის შექმნას, რომელიც ეხება ადგილობრივ ურთიერთობებსა და მეზობლობას.

დავით ალექსიძე გაემგზავრება ისრაელში, საპირის კოლეჯში შემოქმედებითი სივრცის ფარგლებში ნამუშევრების შესასრულებად, რომლებსაც ექნება კონცეპტუალური დატვირთვა, კერძოდ, ბილბორდების შექმნა, რომელიც დემონსტრირებული იქნება საზოგადოებრივ ადგილებში.

ასევე, არტისტები ჩაერთვებიან 48 საათიან მხატვრების საერთაშორისო მარათონში - პროექტის კონცეფციის შესაბამისად.

პროექტის მიზანია საერთაშორისო არტ სივრცეში მხატვრების ინტეგრირება და შესაბამისი ხედვის დაფიქსირება. საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერება და ახალი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქვეყნის სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებთან. ამასთან ერთად ნამუშევრების მომზადება მათი შემდგომი პოპულარიზაციისთვის, აგრეთვე კატალოგის მომზადება.

15) ინდივიდუალური მეწარმის ომარ ბურდულის პროექტი - თბილისის გოგონათა გუნდის საკონცერტო ტურნე პოლონეთში “UNIVERSITAS CANTAT”

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

“Universitas Cantat” – არის საერთაშორისო საგუნდო ფესტივალი, რომელიც ტარდება პოლონეთში (პოზნანი) 1998 წლიდან. ფესტივალი აერთიანებს მუსიკალური ტალანტით დაჯილდოებულ ახალგაზრდულ საუნივერსიტეტო კოლექტივებს მსოფლიოს სხვადასხვა

ქვეყნიდან. ფესტივალის დაარსების დღიდან მისი ორგანიზატორია პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტი და საგუნდო საზოგადოება. ფესტივალის კონცერტები ტარდება ვიელკოპოლსკის სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში. მონაწილე გუნდებმა უნდა წარმოადგინონ ეროვნული საგუნდო მუსიკის ნიმუშები. ფესტივალის დასასრულს კი ყველა მონაწილე ერთობლივად შეასრულებს თანამედროვე კომპოზიტორის ნაწარმოებს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ფესტივალზე თბილისის გოგონათა გუნდი მიწვეულია საქართველოს სახელით, შესაბამისად პროექტის მიზანია აღნიშნულ საერთაშორისო ღონისძიებაში ქართული საგუნდო კოლექტივის ჩართულობით ქართული საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასევე თბილისის გოგონათა გუნდის შემოქმედებით საქმიანობის წინსვლა და ახალი კონტაქტების შექმნა.

16) ა(ა)იპ კავშირი - ქალთა ფოლკლორული ანსამბლი ნანინას პროექტი - ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ ნანინას მონაწილეობა ლატვიის ქალაქ კულდიგაში ბურდონული მუსიკის მმე-5 საერთაშორისო ფესტივალში.

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

ბურდონული მუსიკის ტრადიციური საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზაციების ინიციატივა ეთნიკური კულტურის ცენტრ (EEC) სუიტის ეკუთვნის. ბურდონი არის მრავალხმიანობის ერთ-ერთი უძველესი ფორმა ხალხურ მუსიკაში (ვოკალურშიც და ინსტრუმენტალურშიც). დღემდე ცოცხალ ტრადიციადაა შემონახული ლატვიაში, ესტონეთში, საქართველოში, ბულგარეთში, ხორვატიაში, რუსეთში. სუიტის კულტურული მემკვიდრეობა 2009 წლიდან UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი, როგორც გადაუდებლად დასაცავი და ხელშესაწყობი.

ანსამბლ “ნანინას” მონაწილეობა სხვა უცხოელ ფოლკლორულ ჯგუფებთან, მუსიკოსებთან და სპეციალისტებთან (მკვლევრები, პრაქტიკოსები და სხვ.) ერთად ბურდონული მუსიკის 5-ე საერთაშორისო ფესტივალში არის საუკეთესო გზა იმის საჩვენებლად, რომ საქართველოში თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადაცემული ტრადიციები დღემდე ცოცხალია, ვითარდება და განვითარების სულ უფრო მაღალ დონეს აღწევს.

17) ფიზიკური პირის მარიამ ახოზაძის პროექტი - “მეზობლობა” HDI- Hotel De Inmigrants

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

მე-7 HDI პროექტი გულისხმობს შემოქმედებითი სივრცის შექმნას, რომელიც ეხება ადგილობრივ ურთიერთობებსა და მეზობლობას.

მარიამ ახოზაძე გაემგზავრება ისრაელში, საპირის კოლეჯში შემოქმედებითი სივრცის ფარგლებში ნამუშევრების შესასრულებლად, რომლებსაც ექნება კონცეპტუალური დატვირთვა,

კერძოდ, ბილბორდების შექმნა, რომელიც დემონსტრირებული იქნება საზოგადოებრივ ადგილებში.

ასევე, არტისტები ჩაერთვებიან 48 საათიან მხატვრების საერთაშორისო მარათონში - პროექტის კონცეფციის შესაბამისად.

პროექტის მიზანია საერთაშორისო არტ სივრცეში მხატვრების ინტეგრირება და შესაბამისი ხედვის დაფიქსირება. საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერება და ახალი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქვეყნის სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებთან. ამასთან ერთად ნამუშევრების მომზადება მათი შემდგომი პოპულარიზაციისთვის, აგრეთვე კატალოგის მომზადება.

18) ფიზიკური პირის გიორგი დანიბეგაშვილის პროექტი - ფრანსუა შნაიდერის ფონდი, კონკურსი თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში "talents contemporains"

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

საქართველოში მოღვაწე მხატვარმა, გიორგი დანიბეგაშვილმა ახლახანს მიიღო მოწვევა მსოფლიოში ცნობილი ფონდიდან (Fondation François Schneider), რომელიც არის ერთ-ერთი წამყვანი სახელოვნებო ინსტიტუცია საფრანგეთში, სადაც ყოველწლიურად ტარდება კონკურსი თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში - „Talents Contemporains“. გიორგი დანიბეგაშვილი შეარჩიეს კონკურსის ერთ-ერთ ფინალისტად, კონკურსში წარმოდგენილი მისი ნამუშევარი ნომინირებულია ინსტალაციის კატეგორიაში.

ღონისძიება გაიმართება 2017 წლის 19-20 მაისს. ეს არის უნიკალური პლატფორმა, სადაც ხელოვანს შესაძლებლობა აქვს საკუთარი ნამუშევარი წარუდგინოს სხვადასხვა ცნობილ მუზეუმებსა თუ გალერეების წარმომადგენლებს (კურატორებს, არტ კრიტიკოსებს, გალერისტებს, კოლექციონერებს).

19) ფიზიკური პირის მარიამ რუხაძის პროექტი - "მეზობლობა" HDI – Hotel De Inmigrants

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

მე-7 HDI პროექტი გულისხმობს შემოქმედებითი სივრცის შექმნას, რომელიც ეხება ადგილობრივ ურთიერთობებსა და მეზობლობას.

მარიამ რუხაძე გაემგზავრება ისრაელში, საპირის კოლეჯში შემოქმედებითი სივრცის ფარგლებში ნამუშევრების შესასრულებად, რომლებსაც ექნება კონცეპტუალური დატვირთვა, კერძოდ, ბილბორდების შექმნა, რომელიც დემონსტრირებული იქნება საზოგადოებრივ ადგილებში.

ასევე, არტისტები ჩაერთვებიან 48 საათიან მხატვრების საერთაშორისო მარათონში - პროექტის კონცეფციის შესაბამისად.

პროექტის მიზანია საერთაშორისო არტ სივრცეში მხატვრების ინტეგრირება და შესაბამისი ხედვის დაფიქსირება. საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერება და ახალი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქვეყნის სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებთან. ამასთან ერთად ნამუშევრების მომზადება მათი შემდგომი პოპულარიზაციისთვის, აგრეთვე კატალოგის მომზადება.

20) ა (ა)იპ “თანამედროვე ხელოვნების კლუბის” პროექტი - ვენეციის ბიენალეს გამოფენის - “პერსონალური სტრუქტურები” - პროექტის ავტორი, კოორდინატორი.

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

ვენეციაში შვიდი თვის მანძილზე, პალაცო ბემბოში სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენის საშუალება მიეცემათ. პალაცო ბემბო ცნობილია, როგორც ვენეციის ბიენალეს არტ გამოფენის ადგილი, რომელიც ორგანიზებულია „პერსონალური სტრუქტურების“ მიერ, როგორც საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების პლატფორმა. ღონისძიება ჩატარდება 2017 წლის 13 მაისიდან - 26 ნოემბრამდე. პროექტის ავტორი და კოორდინატორია ალექსანდრა გაბუნია, რომელიც სტუდენტებთან ერთად გაემგზავრება ვენეციაში.

პროექტი მხარდაჭერილია ევროპის კულტურის ცენტრის (ECC) მიერ, რომელიც აღნიშნავს საქართველოს ევროპული კუთვნილების თავისებურებებს და ევროპის პოლიტიკურ-კულტურულ და ესთეტიურ კავშირებს ქართულ საზოგადოებასთან. ევროპის კულტურის ცენტრისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ხელოვნების კვლევა ისეთ ქვეყანასთან როგორცაა საქართველო, რათა მოხდეს საერთო მომავლის განსაზღვრა და ამ საერთო მომავალში ისინი საქართველოსაც მოიაზრებენ.

21) ფიზიკური პირის ნინო ჩუბინიშვილის პროექტი - ნინო ჩუბინიშვილის მონაწილეობა კულტურულ გაცვლით პროექტში.

#### **პროექტის მოკლე აღწერა:**

საერთაშორისო რეზიდენციების კონკურსში გამარჯვებული ნინო ჩუბინიშვილი შეირჩა პარიზის „Cité internationale des arts“ ჟიურის მიერ, ქართული თანამედროვე ხელოვნების პრეზენტაციისათვის, რაც გულისხმობს იქ ნამუშევრების შექმნასა და მის რეპრეზენტაციას გამოფენის სახით თემაზე - „სახელოვნებო სივრცის და წარმოების გადაკვეთის წერტილები“. ნინო ჩუბინიშვილი 2017 წლის 7 ივლისს პარიზში გაემგზავრება. ღონისძიება გულისხმობს თანამედროვე ხელოვნებას სამ თვიან გაცვლით პროექტში მონაწილეობას და გამოფენის მომზადებას. სამ თვიანი კვლევის შედეგები ნაჩვენები იქნება როგორც პარიზში გამოფენის სახით, ასევე თბილისში, ნოემბრის თვეში, აბრეშუმის მუზეუმში დაგეგმილ გამოფენაზე.

პროექტის მიზანია მოხდეს კულტურული გაცვლა ქართველ და საერთაშორისო მხატვრებს შორის. მოხდეს ქართველი თანამედროვე ხელოვანების საერთაშორისო დონეზე პრეზენტაცია. საერთაშორისო კონტაქტების და სამომავლო კულტურული თანამშრომლობის გადრმავება.

22) ა(ა)იპ საქართველოს ორფის ასოციაცია “ჯეორფის” პროექტი - საქართველოს მონაწილეობა ზალცბურგის მუსიკოსთა საერთაშორისო ფორუმზე.

**პროექტის მოკლე აღწერა:**

საქართველო, როგორც ორფის საერთაშორისო ასოციაციების წევრი ქვეყანა, მონაწილეობას იღებს ფორუმში, რომელიც ყოველწლიურად ზალცბურგში ტარდება. პროექტის ფარგლებში ქართული ორფის ასოციაციის - „ჯეორფის“ წევრები ეკატერინე ჩუბინიძე და ნანა გვარამიანი 2017 წლის 4 ივლისს ზალცბურგში გაემგზავრებიან.

2003 წელს საქართველო პირველად მიიწვიეს ორფის ინსტიტუტში, გერმანიაში. ხოლო, 2015 წელს საქართველო მოცარტემისა და კარლ ორფის ინსტიტუტის უკვე ოფიციალური წარმომადგენელი გახდა, სადაც ყოველწლიურად მსოფლიოს 50 ქვეყნიდან იკრიბებიან ხელოვნების წარმომადგენლები, მუსიკოსები, პედაგოგები, მსახიობები და ა.შ. რათა გააცნონ ერთმანეთს ხელოვნების სფეროში არსებული სიახლეები და პრობლემები. ფორუმში ძირითადად დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობს და მონაწილეებს აძლევს საშუალებას უფრო ღრმად და საფუძვლიანად განიხილონ ყველა სიახლე და პრობლემა რაც იმ პერიოდისთვის აქტუალურია მუსიკის სფეროში. ფორუმის პერიოდში მონაწილეები ერთვებიან სხვადასხვა ტიპის პრაქტიკულ ვორკშოპებში. რაც უფრო ადვილად გასაგებს ხდის ამა თუ იმ პრობლემის არსს.

23) ა(ა)იპ სტუდია ჯიბის კაცის პროექტი - ანიმაციური ფილმი “ჯიბის კაცის” შემოქმედებითი ჯგუფის გამგზავრება ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე.

**პროექტის მოკლე აღწერა:**

ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მაშტაბული ღონისძიებაა ამ სფეროში. ფესტივალზე თავს იყრიან ცნობილი და წამყვანი რეჟისორები, პროდუსერები, სცენარისტები, კომპოზიტორები და ა.შ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.



პროექტის ფარგლებში ფილმის „ჯიბის კაცი“ რეჟისორი ანა ჩუბინიძე და ფილმის მხატვრი ელენე ჭიჭაშვილი ფესტივალზე გაემგზავრებიან.

პროექტის მიზანია ახალშექმნილი ქართული ანიმაციური პროდუქტის საერთაშორისო მაცურებლისათვის გაცნობა, შემოქმედებითი ჯგუფის ახალი პროფესიული კონტაქტების დამყარება და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და საქართველოს ღირსეულად წარდგენა.